ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05.37221091**
თარიღი:**19/04/2022**

# **დ ა ს კ ვ ნ ა**

## **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- პროექტზე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ პროექტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამშრომელთა საერთო რიცხოვნობა განისაზღვრება 220 ერთეულით, მათ შორის ხელშეკრულებით დაკავებულ თანამდებობათა რაოდენობა შეადგენს 110 ერთეულს. საშტატო ერთეულების საერთო რაოდენობაში შედის მერიის წარმომადგენლები და მათი თანაშემწეები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2. დასამტკიცებლად წარმოდგენილი მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის და საშტატო ნუსხის პროექტი, მიმდინარე პერიოდისთვის მოქმედ ანალოგიურ დოკუმენტთან შედარებით არსებითად განსხვავებულია და ხასიათდება რიგი უპირატესობებით, კერძოდ კი:

- საშტატო ნუსხით პროექტით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საერთო რიცხოვნობა ნაკლებია მოქმედი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ რიცხოვნობასთან შედარებით, რაც გარკვეული ოდენობით ირიბად და პირდაპირ საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის წინაპირობაა.

- ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სტრუქტურა ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის მართვის სრულყოფის ღონისძიებების

პრიორიტეტების გამოკვეთაზე, მის განკარგულებაში არსებული პოტენციალის ეფექტურად გამოყენებასა და საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდაზე.

- დასამტკიცებლად წარმოდგენილი საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და შესაბამისად, უზრუნველყოფს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საქმიანობის რაციონალიზაციასა და ეფექტიანობას.

3. საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - პროექტის განხილვის დროს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში , არსებითი ხასიათის შენიშვნების არ დაფიქსირებულა. შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები ზემოთ აღნიშნულ პროექტთან მიმართებით, მასზე არც საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, საკრებულოში არ შემოსულა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია: დადგენილების პროექტი - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- რეკომენდირებულ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი